ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302300960**
თარიღი: **09/01/2023**

ადრესატი: მარინე თათრიშვილი
პირადი ნომერი: 01017012394
მისამართი: თბილისი მიტროფანე ლაღიძის ქ. N 3 ბ. 8

მოქალაქე დარეჯან ხიზანიშვილის მინდობილ პირს

მარინე თათრიშვილს

ქალბატონო მარინე,

თქვენი განცხადებების პასუხად გაცნობებთ, რომ დარეჯან ხიზანიშვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთები ს/კ 27.15.56. 208, 27.15.56.209, 27.15.56.210, 27.15.56.211, 27.15.56.212, 27.15.56.213, 27.15.56.214, 27.15.56.215, 27.15.56.216, 27.15.56.217, 27.15.56.218 და 27.15.56.219 მდებარეობენ შავი ზღვის სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონაში და „საქართველოს სივრცის დასგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 109-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255-ე დადგენილების მესამე მუხლის მეორე პუნქტის ე) ქვეპუნქტის შესაბამისად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან ან/და არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მშენებლობის ნებართვის გამცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ჩართოს სხვა ადმინისტრაციული ორგანო-საქართველოს რეგიონული გავითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

აქედან გამომდინარე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შესათანხმებლად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში დამატებით უნდა წარმოადგინოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი სახლების განთავსების გენ-გეგმა, თითოეული სახლის ოთხივე კუთხის კოორდინატების მითითებით, გენ-გეგმაზე დატანილი უნდა იყოს შენობებიდან ზღვის ნაპირამდე და საკადასტრო საზღვრებამდე მანძილები და ნაკვეთებამდე მისასვლელი საავტომობილო გზა (გაითვალისწინეთ, რომ პლაჟის გამოყენება საავტომობილო გზად დაუშვებელია)

ასევე გაცნობებთ, რომ გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის (გგ) მიხედვით, აღნიშნული მიწის ნაკვეთები მოქცეულია ნაწილობრივ სამშენებლო ტერიტორიაზე (საკურორტო-სარეკრეაციო ზონა (შზ-4) სახით) და ნაწილობრივ, სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონის ფარგლებში -, არასამშენებლო ტერიტორია — პლაჟი, სადაც ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენება ნებადართულია მხოლოდ ამავე გეგმით დადგენილი პირობების დაცვით. კერძოდ:

- **შზ-4** ნაწილში:
  - კ1=0.2
  - კ3=0.8

- განაშენიანების სიმაღლე = 8 მ გზიდან (1-ბინიანი სახლებისთვის) / 12 მ გზიდან (სასტუმროებისთვის)
- განაშენიანების სართულიანობა = 2 სართული (1-ბინიანი სახებისთვის) / 3 სართული (სასტუმროებისთვის),
- მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე ≥ 8 მ და სიღრმე ≥ 20 მ (არ ეხება 1-ბინიან სახლებს და გეგმის ამოქმედებამდე გამიჯნულ ნაკვეთებს);
- აუცილებელი გზა: არანაკლებ 1 **შიდა სამეზობლო კატეგორიის სავტომობილო გზა** [1] (საჯარო, მათ შორის სერვიტუტის უზრუნველყოფით).

- **პლაჟის** ნაწილში:
  - დარგობრივი ზონის მოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ამ ზონაში დადგენილი პირობების დაცვით. დარგობრივი რეჟიმების/პირობების მიმართ გამოიყენება შესაბამისი კანონმდებლობა. უპირატესია ის რეჟიმი/პირობა, რომელიც უფრო მკაცრ მოთხოვნებს აწესებს. თანახმად კანონისა „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“: <u>პლაჟის გამოყენება სამკურნალო და რეკრეაციული მიზნით არ იზღუდება. დაუშვებელია პლაჟის გამიჯვნა (შეღობვა) კაპიტალური და გაუვალი ნაგებობებით. მკაცრი ზედამხედველობის ზოლში ნებადართულია ტერიტორიით სარგებლობა დროებითი ნაგებობების განსათავსებლად.</u>
  - პლაჟზე მოქცეული მიწის ნაკვეთები წარმოადგენენ შეუსაბამოდ რეგისტრირებულ/გამიჯნულ მიწის ნაკვეთებს და შესაბამისობის უზრუნველყოფამდე, მათი სამშენებლოდ ნებისმიერი სახით გამოყენება აკრძალულია, გარდა ამ გეგმით დადგენილი გამონაკლისებისა“;
  - პლაჟების შემოღობვა ნებისმიერი ფორმით/სახით/მასალით აკრძალულია.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი